

ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი 080251

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი წარმოადგენს მედიახელოვნების მიმართულების დარგობრივი სფეროს ერთერთ მნიშვნელოვან სპეციალობას და მოიცავს საგამომცემლო საქმის და ნაბეჭდი პროდუქციის ფართო სპექტრს.

II. დასაქმების სფერო

ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელ პირს შეუძლია იმუშაოს სტამბებში, გამომცემლობაში, სარეკლამო სტუდიებში, ტელევიზიაში.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- პრაქტიკის მასწავლებელს მოეთხოვება მინიმუმ 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი (V საფეხური). კურსდამთავრებულს ენიჭება ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი. ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 120 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

V. ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი:

ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს ცოდნა პროფესიულ სფეროში მუშაობის მთავარი პრინციპებისა და მეთოდების შესახებ. იცის ყველა ის ტექნიკური პროცედურა, რომელიც აუცილებელია მაღალი ხარისხის ნაბეჭდი პროდუქციის მისაღებად. გაცნობიერებული აქვს თავისი საქმიანობის სფერო და შეუძლია მის წინაშე დასახული ნებისმიერი სირთულის ტექნიკა-ტექნოლოგიური პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა.</p>
<p>ცოდნის</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო</p>	<p>შეუძლია შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება გამომცემლობაში მუშაობის</p>

პრაქტიკაში გამოყენება	სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	დროს. კერძოდ: მზა მაკეტში ციფრული ფოტოებისა და ტექსტური ფრაგმენტების ჩასმა; მოცემული ილუსტრაციის ვექტორულ პროგრამაში ამოხაზვა, ფერის ჩასხმა; ტექსტის დამუშავება (რედაქტირება, ლიტერი, კვადრი, აზრები, დაფორმაცია). შეუძლია აგრეთვე, მხატვარ-დიზაინერისა და წიგნის დიზაინერის მიერ მოცემული ამოცანის ოპტიმალურად გადაწყვეტა, დასახული ამოცანისადმი შემოქმედებითი მიდგომის გზით.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია ტიპური ან არასტანდარტული ტექნიკური პრობლემის იდენტიფიცირება, მისი აღმოფხვრის მეთოდების ანალიზი, დასაბუთება და პრაქტიკულად განხორციელება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას როგორც პროფესიონალურ, აგრეთვე ფართო საზოგადოებასთან. შეუძლია სპეციალობასთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაციის ან ახალი იდეების თანმიმდევრულად გადაცემა სხვადასხვა სახის მონაცემთა ბაზების და მაჩვენებლების გამოყენების მეშვეობით; თავისუფლად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს პროფესიული ამოცანების შესასრულებლად. შეუძლია უცხო ენაზე არსებული ლიტერატურის ან სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენება პროფესიული ცოდნის გასადრმაველად. შეუძლია ამომწურავი ანგარიშის წარდგენა შესრულებული სამუშაოს შესახებ მშობლიურ და უცხო ენაზე. გამოიმუშავებული აქვს კოლექტივთან ადაპტაციის და კოლექტიური შრომის უნარ-ჩვევები.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი სწავლის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, ცოდნის გაღრმავება მომიჯნავე დარგების გაცნობის მეშვეობით. გაცნობიერებული აქვს სწავლის შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობა უმაღლესი განათლების მეექვსე საფეხურზე (ბაკალავრიატში).
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.	შეუძლია ადექვატურად და კორექტულად შეაფასოს საკუთარი და კოლეგების მიერ შესრულებული სამუშაო დასმულ ამოცანებთან მიმართებაში, გაუზიაროს მათ საკუთარი დამოკიდებულება პროფესიული ღირებულებებისადმი.